დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები: ნინო კაშია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225389488

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბოლნისი, სოფელი ქვეში
იურიდიული მისამართი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვეში
ფაქტობრივი მისამართი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვეში
საფოსტო ინდექსი	1100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bolkveshi.mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	596 01 050 05

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 23 0000872692 ; 12.07.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07,08 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს,სკოლის ბიბლიოთეკარს,სკოლის ექთანს, სპეციალურ მასწავლებელს და სხვა პირებს.ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
მეტწილ შეფასდა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	ხარვეზი
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხური)**	***ხარვეზი***

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
1.2.1.2	*დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა არ შვიდწლიანი და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს.*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.12.23) შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება რომელიც მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1.3	*დაწესებულების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლ სტრატეგიულ გეგმას.*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (28.12.23) სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება სკოლ სტრატეგიულ გეგმას.*
1.2.1.4	*დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცა შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, შესაბამ რესურსებს,ამასთან გამომდინარეობს შვიდწლია გეგმიდან.*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (28.12.23)სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შესრულებ გაზომვად ინდიკატორებს, შესაბამის რესურსებს და რომელიც გამომდინარეო შვიდწლიანი გეგმიდან.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეეაბამება დაკავებუ თანამდებობას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.10.23)პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებ სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულ ვადებში (28,12,23)* • *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამ სტურქტურებთან;* • *სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან;* • *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული პირობებ შესაბამისად, სკოლის ექიმის დასაქმება და ავადობის შემთხვევებ კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვა და აღრიცხვა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიუ* *გარემოს;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ* *შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში (28.12.23) რესურსოთახის მოწყობა;*
3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტუ* *ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვ* *სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ* *განსაზღვრულო ვადებში (20.10.23) სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციულ* *ტექნოლოგიებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის წესის შემუშავება.*
3.6.3.3	*საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხ* *არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარ* *საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ* *განსაზღვრულო ვადებში (20.10.23) საზოგადოებასთან ურთიერთობის წეს* *დამტკიცება.*
3.6.3.1 *3.6.3.4.* *3.6.3.5*	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას* *კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდ* *შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხებ* *საშუალებით;* *სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდ* *შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულ* *ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზ* *ახორციელებს სწავლებას;ვებ გვერდი/ვებ გვერდ* *შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლ* *შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურ* *პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და სხვ.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ* *განსაზღვრულო ვადებში (25.12.23) ვებ-გვერდის შექმნა და მასზე სტანდარტ* *მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხურის პროგრამა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2	*სკოლაში არ არის საინფორმაციო ტექნოლოგიებ კაბინეტი, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთ სწავლის შედეგების მიღწევას დაწყებით საფეხურზე.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (25.12.23) საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტ მოწყობა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა.*
2.2.2.4	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (23.10.23) ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, სამართლია და ობიექტური შეფასების სისტემის შემუშვება.*
2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემ ვერიფიკაციის მექანიზმი.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (23.10.23) ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხურის პროგრამა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
2.2	*სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორ რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა სწავლ შედეგების მიღწევას.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (25.12.23) საბუნებისმეტყველო ლაბორტორიის მოწყო და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა.*
2.2.2.4	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (23.10.23) ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, სამართლია და ობიექტური შეფასების სისტემის შემუშვება.*
2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემ ვერიფიკაციის მექანიზმი.*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულო ვადებში (23.10.23) ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
3.4.1.1.		*დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება.*
3.5.1.2.	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორ საერთო სარგებლობის სივრცეები მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*სკოლამ ბიბლიოთეკა და რესურსოთახი ერთმანეთისაგან გამიჯნოს, რათა არსებუ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
4.2.3.2	*სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებ მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოებ ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებ*	*სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პედაგოგების გადამზადება ინკლუზიურ განათლების მიმართულებით,*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	***რჩევა***
2.1.1.3		*რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო წლ დაწყებამდე შეჯერდნენ ,რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებ გამოკვეთილი ცნებების გასაზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებ განახორციელებენ. რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასებ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ .*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.5		*ქართული-კურიკულუმებში უნდა გაიწეროს ესგ-ს საგნობრივი სტარდანტების მიხედვი ყველა სავალდებულო თემა, თემაში დამუშავდეს ყველა საგნობრივი გრძელვადია მიზანი, მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა და რესურსებიც.* *მათემატიკა-სასურველია ყველა კლასში შეარჩიონ და დაგეგმონ კომპლექსურ დავალებები , რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის განვითარებაზე.* *ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და შეზღუდულ გარე მოედნის შესაძლებლობები, პედაგოგს მიეცა რჩევა ახალი სასწავლო წლ დასაწყისში კიდევ ერთხელ გადახედოს კურიკულუმებში გაწერილი თემების რაოდენობ და შეარჩიოს თემები სკოლის რესურსებიდან გამომდინარე*
2.1.2.3		*მათემატიკა-სასურველია შეიმუშაონ ინდივიდუალური გეგმა ენობრივი ბარიერ მოხსნასთან დაკავშირებით.* *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლ უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეთათვის ეფექტია დიფერენცირებული სწავლების მიდგომების სწავლებაში გამოყენება.სკოლამ შეიმუშა დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით სისტემური მიდგომა.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;** სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა(შემდგომში ,, სკოლა'' , ,,დაწესებულება'') მდებარეობს ქვემო ქართლში სოფელ ქვეშში, სასკოლო საზოგადოება მრავალეთნიკურია. სკოლის **მისიაა:** <u>მოსწავლეებში დანერგოს მულტიკულტურული გარემოს ხელშემწყობი ეფექტური სასწავლო მეთოდები, რომელიც მოზარდს ჩამოუყალიბებს ტოლერანტულ ღირებულებებს, გამოუმუშავებს თანამედროვე მრავალფეროვან გარემოში გლობალური განვითარების უნარს, რის საშუალებითაც იგი შეძლებს სკოლაში მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას, მატერიალური, ინტელექტუალური და დემოკრატიული ღირებულებების შესაქმნელად.</u> აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო განათლების პროგრამებს.

<u>**სკოლის ხედვა ითვალისწინებს** მოსწავლისათვის სწავლის გაგრძელებას საშუალო საფეხურზე, იყოს მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით ქმნიდეს ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.</u>

<u>სკოლა თავისი საქმიაონის ფარგლებში ეყრდნობა **ღირებულებებს:** როგორიცაა: დემოკრატიული მართვა,გუნდურობა, ღიაობა, თანამშრომლობა, ტოლერანტობა,გამოხატვის თავისუფლება.</u>

სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლა თავის მისიაში აქცენტს აკეთებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მულტიკულტურული გარემოს ფორმირებაზე, ტოლერანტული ღირებულებების მატარებელი მოსწავლის აღზრდაზე და სხვ, რაც დირექტორის განმარტებით, თავის მხრივ ხელს შეუწყობს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის და სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამ გამოკითხა სასკოლო საზოგადოება,არსებული გამოწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება და სასკოლო კურიკულუმით მისი დამტკიცება. (პედ. საბჭოს სხდომის ოქმი N 4; 07.09.2022). აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებზე,სკოლის დირექტორის განმარტებით მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში განათავსა სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რითაც მოხდა საჯაროობის უზრუნველყოფა.ამასთან სკოლა გეგმავს სკოლის ფილოსოფიის შესახებ ინფორმაციის სკოლის ვებ გვერდზეც განთავსებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**.ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით,დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმით N4 07.09.2022;
- სასკოლო კურიკულუმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,, სსიპ-ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის მისიის ,ხედვის ,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია'', რომლის მიხედვით,სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:სკოლის დირექცია;სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი); სამეურვეო საბჭო;თემი.

ამავე მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის შესაბამისად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1.თანამონაწილეობა; 2.სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმეტების მათთვის გაზიარებას; 3.გამჭვირვალობა; 4.ანგარიშვალდებულება, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლიც დამტკიცებული 2022 წელს პედაგოგიურ საბჭოზე (სხდომის ოქმი N4), რომლის თავფურცელზე 2022-2029 წლებია განსაზღვრული, თუმცა დოკუმენტის შესწავლისას იკვეთება, რომ 2021-27 წლების პერიოდზეა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული აქტივობები, ამასთან გეგმის ამოცანები არ ითვალისწინებს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 28.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, რომელიც არ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ამოცანებს და აქტივოებს, როგორიცაა:სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება,3.სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება4.ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;5. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. 7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;. 9.მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;10. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება; <u>ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ვერ დაეფუძნება გრძელვადიან გეგმას,</u>რის გამოც **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის.</u>**

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 01.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

<u>სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესსრულების ვადები, თუმცა არ არის გაზომვადი ინდიკატორები, შესაბამისი რესურსები. დაწესებულების სამოქმედო გეგმა **არ არის ინდიკატორის შესაბამისი.**</u>

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 28.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს,კერძოდ: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; დაწესებუბლების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 მუხლის მიხედვით,სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილს და საქაღალდეს, ან ფორმსის კითხვარებს, სადაც მოგროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს დირექტორს, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრს და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. გაზიარებულ ფაილზე წვდომა შეიძლება მიეცეს სხვა პირ(ებ)საც. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; წარმოდგენილი სტრატწგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმგების შესრულების განხორციელების საჯაროობა, კერძოდ:მე-14 პუნქტის მიხედვით,ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის,კერძოდ მე15 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სამოქმედო გეგმებში ცვლილებები დასაშვებია. სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვ.ამასთან,წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,, სსიპ-ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის მისიის ,ხედვის ,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია’’;(ბრძ, N 2-50;07.08.23);
- სტრატეგიული გეგმა ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში შემდეგი სტრუქტურული ერთულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი,საგნობრივი კათედრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება (ბრძ.2-51;07.08.23), რომლის მიხედვით, განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობები, ამასთან სკოლას თანამშრომლებთან დადებული აქვს შრომით ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები , რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაღვრავს თითეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას.ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამტკიცებული საშტატო განრიგი;
- სკოლის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომით ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც, ადგენს შრომითი უფლებების პირობებს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ. ამასთან სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის'' დოკუმენტი (ბრძ. N 2-49; 07.08.23), რომლს მიზანია დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესის წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების ფილოსოფიასთან შესაბამისობით, ასევე შექმნას გარემო,რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას და რეალიზებას. აღნიშნულის გავალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი" რომელიც ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკას.სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა.სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგლაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩვა გამჭვირვალედ. სკოლა პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიზნით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკმუნეტაცია ასევე თანამშრომლების პირადი საქმეები სადაც წარმოდგენილია 2020 წლის შემდგომ დასაქმებულები პირების ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ასევე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. აღნიშნულის საფუძველზე ინდიკატორი **დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დადგენილი მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა დასაქმებული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. რადგანაც ვერ დგინდება სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოტხოვნები ინდიკატორი ფასდება როგორც ,,არ შეესაბამება'';

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით აღნიშნულ ხარვეზს სკოლა 20.10 23-მდე გამოასწორებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად , გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს,მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ" განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმი სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია, თუმცა დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა სხვადასხვა სასკოლო პროექტების ამსახველი მასალა.ასევე,ინტერვიუირების დროს სკოლის თანამშრომლებმა გაუზიარეს ექსპერტებს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების, ღონისძიებების თუ პროექტების თაობაზე, რომელთა ზეგავლენამ სასკოლო საზოგადოებაზე დადებით გავლენას იქონია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესით;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებით;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმით;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- საინფორმაციო ბაზის მონაცემებით;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიის დოკუმენტით;
- საშტატო განრიგით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

დაწესებულებამ წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის '' დოკუმენტი, რომლის მე-19 მუხლის მიხედვით შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა, აქტიური მონაწილეობის წახალისება, გამოცდილებაზე დაყრდნობა,კოლაბორაციული კვლევა-ძიება, სწავლა მოქმედებისთვის. დადგენილია შეფასების მეთოდები: 360 გრადუსიანი შეფასება, შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, ხოლო სკოლის სამოქმედო გეგმაში და სკოლის ბიუჯეტში აისახება შესაბამისი აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება პერსონალის გასავითარებლად(მუხლი 20). აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობები.ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ''დოკუმენტის მე-18 მუხლი არეგულირებს ახალი კადრის ადაპტაციის პირობებს , კერძოდ: დამკვიდრებული წესების და პორაქტიკის გაცნობა,ექსკურისა,თანამშრომლების გაცნობა, მენტორის გამოყოფა და სხვ. აღშნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

მასწავლებლებთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. თუმცა აღნიშნული ძირითადად სხვადასხვა აქტივობების(ღონისძიება და სხვ) განხორციელებას ეხება.სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მათი ინიციატივა ძალიან სასიხარულოა და დირექცია ყველანაირად შეეცდება მათ მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს იგივე აღნიშნეს პედაგოგებმა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

,,ადამინაური რესურსების მართვის პოლიტიკის'' დოკუმენტით;
ინტერვიუს შედეგებით სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ,,სსიპ-ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის''დოკუმენტი , რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.სკოლაში დანერგილია შეფასების ორი შეფასება:

1. შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A ;
2. გარე ხარისხის კონტროლის სისტემა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ავტორიზაციის გავლა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება რომ სკოლის საქმიანობა დაეფუძნება პროცესულ მიდგომას და განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში და დებულებაში. სკოლის წესდებაასა და დებულებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში(დებულება). სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები).ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში ასევე სასკოლო კურიკულუმში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლის საჩივრების განხილვის სისტემა - რეგულირდება შინაგანაწესით (განცხადების/საჩივრის განხილვა). სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი. დირექტორის მიერ საჩივრის განხილვა ხდება 1 თვის ვადაში. ინფორმაცია მოსწავლეებს/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადას და ადგილს. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. წარმოდგენილი მასალებით **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურვადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობისას რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ. N2-47;15.09.2022) **,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- სკოლის წესდება;
- სკოლის დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის სხდომის ოქმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუირებისას ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები და სხვ.აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია **ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით,ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებს ქმნიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციებით;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზო, სკოლაში დასაქმებულია გადამზადებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი (ბრძ. N1კ-16; 08.10.22) ,რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილია გაგზავნილი კორესპონდენცია შესაბამის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ, სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადების მიზნით ,შესაბამისისი ფინანსური სახსრების გამოყოფის თაობაზე.ვიზიტის დროს სკოლას არ ქონდა საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა,სახანძრო უსაფრთხოების და შენობის მდგრადობის დასკვნა.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია ექთანი, სკოლის განმარტებით პერიოდულად ხდება ვაკანსიის გამოცხადება ექიმის პოზიციაზე თუმცა უშედეგოდ.ექსპერტების მიერ გადამოწმდა ექიმის პოზიციაზე გამოცხადებული კონკრუსების შედეგები.

სკოლის ექთანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, საქმიანობას ეწევა სამედიცინო კაბინეტში, რომელიც არასრულად აღჭურვილია და არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ დადგენილ პირობებს, კერძოდ, არ არის აღჭურვილი შირმით, სკოლაში არ არის პირველადი დახმარების მედიკამენტები, სკოლა არ აწარმოებს ავადობის აღწერას დამტკიცებული ფორმების მიხედვით. სკოლას არ აქვს შემუშავებული კონკრეტული გაწერილი პროცედურები, რომლითაც დარეგულირდება პირველადი დახმარების პროცედურები.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზებს გამოასწორებს 28.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;** საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით და სკოლაში დასაქმებულია გადამზადებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ამასთან შემუშავებულია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების '' დოკუმენტი რომელიც აწესრიგებს:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვას და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას;

ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;

გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირებას;

დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას;

შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სარგებლობს მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სერვისით,საჭიროების შემთხვევაში მოხდება მოსწავლის გადამისამართება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს შემუშავებული და დამტკიცებულია (ბრძ. 2-47;07.08.2023) სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის წესი,რომელიც ითვალისწინებს სკოლის ყოველდღიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნებს, სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; ვიზიტის პერიოდში სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა ,,პერსონლაური მონაცემთა დაცვის მექანიზმი''(ბრძ. N 2-48; 07.08.2023), რომელიც ითვალისწინებს მონაცემების დამუშავების,ვიდეოსამეთვალყირეო სისტემის ადმინისტრირების,პერსონალურ მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილების და სხვა საკითხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლის მიერ დამტკიცებული ,, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი'' ითვალისწინებს დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის დაცვის პიროებებს, ამ წესის მე-10 მუხლში გაწერილია: 1.სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი;2.სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ; 3.დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;4.ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას; 5.წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროცესების უსაფრთხოების დადგენის მიზნით მოხდება პერიოდული შეფასება კითხვარებით, სკოლის მიერ გამოყენებული იქნეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.ამის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია **დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგებით;
- დარაჯის ხელშეკრუოლებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი'
- პერსონალური მონაცემების დავის მექანიზმით;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმებით;
- ექთანთან დადებული ხელშეკრულებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ბოლნისის რაიონი, სოფ. ქვეში

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია **80.13.64.048**

მიწის დაზუსტებული ფართობია: **6729.00 კვ.მ.**

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:N1 (სკოლის ძირითადი კორპუსი)- საერთო ფართით_**605.10 კვ.მ.** (მათ შორის: I სართული_300.40კვ.მ. და II სართული_304.70 კვ.მ.); N2_72.10 კვ.მ.,N3_20.00 კვ.მ., N4_20.10 კვ.მ.

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით.

ძირითადი შენობის **პირველ სართულზე** განთავსებულია- ექიმის კაბინეტი,უფლებოსილი პირის ოთახი,კვების ობიექტი, 4 საკლასო ოთახი;

მეორე სართულზე- ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია რესუროთახი, ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი, სამასწავლებლო, დირექციის კაბინეტები, 4 საკლასო ოთახი.

სკოლა ერთ ცვლაში ახორციელებს სწავლებას, ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, დაფებით, კარადებით, დამხმარე ინვენტარით,ინვენტარი ვიზუალურად სუფთა და მოწესრიგებულია. სკოლა სრულად რეაბილიტირებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით იგეგმება ორ ცვლაში სწავლა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური კლასების შესაბამის სივრცეში განთავსება, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული ზონები (მოედანი, სკოლის ეზო) შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა სკოლის ბიბლიოთეკის და რესურსოთახის გამიჯვნის შესახებ, რათა არსებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლაში მოწყობილია ლიფტი, რომლითაც შშმ პირთათვის შესაძლებელია სკოლის სივრცეში გადაადგილება, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილებია, თუმცა რესურსოთახის და ბიბლიოთეკის ერთ სივრცეში არსებობა სრულად სკოლის ინკლუზიური გარემოს ვერ პასუხობს, რადგან მოსწავლეებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთკით იმ დროს, როდესაც იმავე ოთახში სსსმ მოსწავლე იღებს სხვა სერვისს, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 28.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; სკოლის ინფრასტრუქტურა და მისი ეზო, რომელიც მრავაფლეროვანი რეკრეაციული ზონებით გამოირჩევა ხელს უწყობს სკოლას გახდეს სოფელში ერთ-რთ სოციო-კულტურულ სივრცედ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით. სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბილიოთეკაშია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

<u>მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანად ითვლება (მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 160 მოსწავლე) , სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის სკოლას არ აქვს ისეთი რესურსები როგორიცაა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი აღჭურვილი კომპიუტერებით. სკოლა ვერ უზრუნველყოფს ალტერნტიული სივრცის გამოყენებას რითაც შესაძლებელი იქნება საჭირო რესურსებზე წვდომა, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 25.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სკოლის შიდა აზომვითი ნახაზით;
- სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციებით ლაბორატორიის და კომპიუტერების გადაცემი შესახებ;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, რისთვისაც სკოლაში არის 2 ლეპტოპი,3 პრინტერი და 3 სტაციონარული კომპიუტერი, 4 პროექტორი, სკოლაში ვიზიტის პერიოდში გათიშული იყო ინტერნეტი, აღნიშნული პრობლემა სკოლის განმარტებით ხშირია, ამასთან სკოლის წარმომადგენლის განმარტებით სიხშირე ძალიან დაბალია, რაც ფაქტობრივად შემაფერხებელია საქმიანობისთვის, დირექციის განმარტებით მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები ინტერნეტის სიჩქრის გასაძლიერებლად.მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ არის მოწყობილი საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი ,დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის გადაეცემულია კომპიუტერები, რომელსაც აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო დროს, ხოლო ინტერნეტს ხშირ შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარს აზიარებენ. სკოლას მიეცა რჩევა აწარმოოს შეაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია შეუფერხებელი ინტერნეტის მოწოდების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

დირექტორის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში წინასწარი შეთანხმებით ტექნიკით სარგებლობენ მოსწავლეები და მასწავლებლებიც,სკოლას არ აქვს დადგენილი წესი რომლითაც მოხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 20.10.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს შედეგებით;
ვიზუალური დათვალიერებით,
ტექნიკის ფლობის დოკუმენტაციით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;** დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც ვიზიტის პერიოდში დარედაქტირდა.საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eeflow) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: bolkveshi@mes.gov.ge სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;** ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**.ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შესაბამის უწყებებთან , რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნდა განხორციელდეს, კონკრეტულად ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომელიც დგება სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ და დასკვნის შედგენიდან 7 დღის ვადაში იგზავნება სამინისტროში(,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 16/ნ),აღნიშნული დასკვნა სკოლას არ ქონდა გადაგზავნილი მიუხედავად იმისა, რომ გასულ სასწავლო წელს ირიცხებოდა ორი სსსმ მოსწავლე, ვიზიტის პერიოდში სკოლამ უზრუნველყო დასკვნის შესაბამის უწყებასთან გადაგზავნა.რჩევა- სკოლამ საქმიანობის პროცესში გაითვალისწინოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და ვადები და მოახდინოს დროული რეაგირება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესით;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება;
- გაგზავნილი კორექსპონდენციებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წერილობით მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. როგორც ირკვევა, ავტორიზაციის მიზნებისთვის მიმდინარეობს სკოლებისათვის ვებ. გვერდის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება დაწესებულების შესახებ ინფორმაციის განთავსება. <u>სკოლა აქტიურად იყენებს მშობლებთან კომუნიკაციისას ელექტრონულ ჟურნალს. საკმაოდ აქტიურია სკოლა სოციალურ ქსელში, გარდა სკოლის ოფიციალური გვერდისა, სოციალურ ქსელში შექმნილია მიზნობრივი ჯგუფები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული;** სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 25.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება **როგორც მეტწილად შესაბამისი.**</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** სკოლა შემუშავებული არ აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა და სკოლის დირექტორმა განაცხადეს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, რა დროსაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა ესაუბრონ მასწავლებლებს.ინდიკატორი ფასდება **როგორც ,,არ შეესაბამება''**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 20.10.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 25.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. **ინდიკატორი არ არი დაკმაყოფილებული.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 25.12.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს შედეგებით;
სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი.

სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები წერილობით აწვდიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამტკიცებული ბიუჯეტით;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლას აქვს შინაგანაწესი შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. გარდა ამისა,სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი, სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია,დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის **გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად,დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების“ შესაბამისად სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“, რომლის გათვალისწინებითაც, ,საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად იყენებს ალტერნატიულ საშუალებებს ინფორმაციის გაზიარებისთვის. მაგალითად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ ქსელებში კლასებს აქვთ ჯგუფები. ასევე სკოლაში საინფორმაციო დაფაზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელი სახელდება ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი;
- საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დირექტორი მიერ დამტკიცებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი,(2-53;07.08.2023), კლასის დამრიგებლებთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობებს ატარებენ ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. ვინაიდან სკოლა დაკომპლექტებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით, კერძოდ სკოლის 80 % ეთნიკურად აზერბაიჯანელია, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობებით ხელი შეუწყონ მოსწავლეებს სოციალიზაციაში და ენობრივი ბარიერის გადალახვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას და კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობელებლად.კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისთვის ენობრივი ბარიერის დაძლევისთვის, პედაგოგები დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდ დროს უთმობენ მოსწავლეებს, ახდენენ დავალებების ადაპტირებას,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე.სკოლა გეგმავს წაახალისოს არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეების მიერ იქნება ინიცირებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ იგეგმება ელექტრონული კითხვარების შემუშავება და დანერგვა. რითაც სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმივსა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც პროფესიულ სასწავლებლებთან ერთობლივად განხორციელდება, თუმცა ამ დრომდე სკოლს აქვს გამოცდილება, პროფესიული სასწავლებლების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; როგორც ინტერვიუთი ირკვევა, სკოლა მოსწავლეებს აწვდის საბაზო საფეხურის დამთავრების შემდგომ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებლების პროგრამების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული ინფორმაცია სკოლას ოფიციალურ სკოლის მეილზე ეგზავნება, ხოლო დამრიგებლების მეშვეობით ინდორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს და მათ მშობლებს,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და შეეცდება მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგოს შესაძლებლობების ფარგლებში.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს შედეგებით;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლისთვის ირიცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციის შესაბამისად, შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. თუმცა დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მაგალითად მოსწავლე გადავიდა მე 7 კლასში, მისი შეფასება მულტ.გუნდის მიერ მოხდა სკოლაში შესვლისას და დასკვნის მიხედვით მითეთებულია მხოლოდ 3 საგანში ინდ. გეგმის აუცილებლობა, მოსწავლის გადაფასება ამ დრომდე არ მომხდარა და მოსწავლისთვის არ არის სხვა საგნებში შედგენილი ინდ. გეგმები, რაც მისი დიაგნოზიდან გამომდინარე აუცილებლობას, სკოლის განმარტებით სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე მოხდა აპრილის თვეში შესაბამისი კადრის აყვანა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისის გაწევას, ექსპერტთა რჩევის საფუძველზე მოხდება მოსწავლის გადაფასება და შედგება ინდ. გეგმები ყველა იმ საგანაში , რომლიც დადგინდება მულტიგუნდის მიერ. სკოლაში ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომელიც გადაეგზავნა სამინისტროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.სკოლის მიერ შექმნილ ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. თუმცა სკოლას მიეცა რჩევა, სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, მოახდინოს თანამშრომელთა გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ. ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინდ. გეგმები;
- სკოლის შიდა მონიტორინგის მექანიზმები;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები. მათ არ აქვთ გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვ.ხოლო ტრასპორტით უზრუნველყოფა ხორციელდება განათლების სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. ამ ეტაპზე სკოლ არ ახორციელებს დამატებით მომსახურებას. **ინდიკატორი დამაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუს შედგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ((ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა))	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი -
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ნათლად აქვს გაწერილი კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპი, რა დროსაც ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია. სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში , მაგრამ აქვთ სიახლეებისადმი მიმღებლობა და პრაქტიკაში დანერგვის სურვილი. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად. დოკუმენტში მკაფოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია რა ფუნქცია - მოვალეობები ეკისრება დირექციას და რა -პედაგოგებს. კურიკულუმის რევიზიის ნაწილში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოებების წევრების ინტერესებისა და შეხედულებების, ასევე პრიორიტეტების მიხედვით არსებული კურიკულუმის გარდაქნა და მისი რევიზია. მასში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა შედეგების განსაზღვრა, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის როლი და მნიშვნელობა აღნიშნულ პროცესში. სასკოლო კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები . კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება. რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს და განსაზღვრავენ მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს შემუშავების პროცესის მონაწილეთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებს.

როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან ინტერვიუებით. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიები. გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.
წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და პედაგოგები საკითხების ფორმულირებას ახდენენ მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მიერ სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მათი შეხედულებების გათვალისწინება.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას და 2.1.1 (1) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმები , კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია ცხადყოფს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრა სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია სტანდარტთან. მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი არაქართულენოვანია. შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას და ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც ენობრივი ბარიერის დასაძლევად მასწავლებლების მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, დაწყებით კლასებში მოსწავლეებს სთავაზობენ გამარტივებულ დავალებებს და უქმნიან ხელშემწყობ გარემოს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება გამოკითხვა , რომელშიც აქტიურად არიან ჩართული მშობლები. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. დაწყებით საფეხურზე სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესის წინაპირობაა. მოსწავლის ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები კი სწავლის ფუნდამენტია .პედაგოგების თქმით სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება კათედრების სხდომებზე. კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში ჩართული არიან დირექციის წევრები. ისინი მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს, რომლებსაც ითვალისწინებენ კურიკულუმის შექმნისას. კურიკულუმის შემადგენელი შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებისას, პედაგოგების თქმით, ხდება მშობლების ინფორმირება პირადი საუბრების ფარგლებში, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება.კურიკულუმის შემუშავების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდიფიკაციის პროცესი ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას.ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1(2) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდა თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, თუმცა საჭიროა დამატებითი აქტივობების დაგეგმვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე, ეფექტური კომუნიკაციის მიზანი სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის ხელშეწყობაა სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის პროდუქტია, რაც გულისხმობს შემუშავების პროცესში მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას. სკოლის მიერ მოწოდებულ კურკუკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება კონცეპტუალურ ჩარჩოზე,კ ურიკულუმის დიზაინზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიაზრებს კურიკულუმის სტრუქტურულ ერთეულებს, დანერგვის ინსტრუმენტებს, შუალედურ სასწავლო მიზნებს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენეტების შეთანხმება/ვერიფიკაციას, სასკოლო საზოგადეობის წევრების ფუნქციებისა და მონაწილეობის ფორმების განსაზღვრას. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს კომპლექსური ბუნების დავალების პირობის შედგენის დროს.მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, თუ როგორ ჩართონ სასკოლო საზოგადოება საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და 2.1.1(3) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღება უზრუნველყოფილია სხვადახვა არხებით - სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლის კურიკულუმი არაფორმალური განათლების ფარგლებში მუდმივი გაზიარების ობიექტს წარმოადგენს. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა , რომ კათედრა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით გეგმავს მშობლების და მოსწავლეებისთვის კომპლექსური ბარათების გაცნობას. მათთვის საინტერესო ინფორმაციის გასაცნობად - სკოლის სოციალურ გვერდის გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა 1-6 კლასის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმი.გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმოამადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები იზიარებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმში გათვალისწინებულ საგანმანათლებლო აქტივობებს მშობლებსაც უზიარებენ. დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს აღნიშნულის გათვალისწინებით, კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, შესაბამისად, 2.1.1(4) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ახალი სასწავლი წლისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის, კურიკულუმებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია სავალდებულო თემები და კონტექსტ-მაგალითები. პირველი კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ასაკობრივი თვაისებურებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ყველა ველი შევსებულია. კურიკულუმების სამუშაო ვერსიები წარმოდგენილია. პედაგოგები გეგმავენ მოდიფიცირებას და დახვეწას. აღნიშნული პედაგოგებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს.კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე, დანერგვის მექანიზმებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმი, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შუალედური მიზნებს. სკოლას ასეთი მიდგომა ეხმარება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. კურიკულუმის წარმოდგენილი ჩარჩოები და ინტერვიუს დრის გაცემული პასუხები ქმნის წარმოდგენას, რომ სკოლაში შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. პროექტული შინაარსის დავალებების პერმანენტული მიწოდებით მოსწავლეებს საშუალება აქვთ კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტუირება. მაგ. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, ცოდნის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებასა და ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა. მასწავლებელთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ მეტწილად გააზრებული აქვს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხებისა და კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კორელაცია. მასწავლებლებელი იაზრებს საგნის სწავლა-სწავლების ძირითად მიზნებს. იყენებს ეელექტრონულ რესურსებს.

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას - საფეხურის დონეზე. პედაგოგთა მიერ საფეხურზე კლასების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილები სწორად არის შევსებული: სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები დაყოფილია კლასტერებად, რომელთა ნაწილზე მორგებულია კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები.

აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ გამოგზავნილ კომპლექსური დავალებებითა და თემატური მატრიცებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური ტიპის დავალებები და პროექტული სწავლება თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას, განვითარებას. ახალისებს დამოკიდებულებას, ამაღლებს მოტივაციას. აცნობიერებს გააზრებულ პასუხისმგებლობას ,აფასებს შესაძლებლობას. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებები ნათელად ემსახურება გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურება, მკვიდრი წარმოდგენების შექმნა. კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზისა და მასწავლებელებთან ინტერვიუს გამოიკვეთა , რომ მათ მეტწილად გააზრებული აქვთ, კომპლექსური ბუნების როლი კრიტიკული, შემოქმედებითი უნარის განვითარებაში, დამოუკიდებელად მსწავლელის როლი გაცნობიერებაში, დამოკიდებულების გარკვევასა და შეფასებაში. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **-დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, პედაგოგიური სხდომის #4 ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სკოლაში ორი სპეციალური საჭიროების მოსწავლეა, ორივე მათგანისთვის შედგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. გასაუბრებითაც წარმოჩინდა, რომ სკოლის წარმომადგენლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, აცნობიერებენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად. ორი სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ-ის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სსსმ მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებსს. ისგ ჯგუფი იკრიბება წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ. დაწესებულების მიერ მოწოდებულ დანართებში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია დოკუმენტი „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“ და ისგ ჯგუფის ნიმუში, რაც არის დასტური იმისა, რომ რომ დაწყებითი კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლობენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებში გათვალისწინებულ იქნება კომპლექსური დავალებების დიფერენცირება მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის. არსებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ის მულტი ეთნიკურ და შესაბამისად მულტი ლინგვისტურ მოსწავლეთა კონტიგენტს აერთიანებს, ხშირად უწევთ - მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით- ცვლილებების შეტანა დაგეგმილ აქტივობებში. ამიტომაც მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ აქტივობებს მრავალფეროვან რესურსით. სკოლა სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმებს, სადაც საერთო კურიკულუმში წარმოდგენილი თემის ფარგლებში მოხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. დიფერენცირებული სწავლების მიდგომების მნიშვნელობის დამადასტურებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.სკოლის ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ის მულტიეთნიკურ და შესაბამისად მულტილინგვისტურ მოსწავლეთა კონტიგენტს აერთიანებს, აღნიშნული ინდიკატორი ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია. პედაგოგებთან პირადი ინტერვიუს დროს, აღინისნა, თუ რა გზით ცდილობენ, არაქართულენოვანი მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვას. ეს უმეტესად განსხვავებული დავალების მიცემით გამოიხატებოდა. დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით რაიმე სისტემური მიდგომა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს, თუმცა ცდილობს საჭიროებებს გაუმკლავდეს, პირადი პრაქტიკის საფუძველზე. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, თვითშეფასების დოკუმენტში გაწერილია მეთოდური ნაწილი, თუმცა პრაქტიკული გამოვლინებებზე არ ყოფილა ხაზგასმა გასაუბრების დროს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ზოგადი რუბრიკები (წყვილში მუშაობის შეფასების რუბრიკა). მოწოდებული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით . მაგ. უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების ერთ რუბრიკაში (კონტექსტ-მაგალითზე, VI კლასი , თემა : places) ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა , განახორციელოს განმავითარებელი შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების 1-1 ნიმუში. პედაგოგს აქვს მზაობა, მომდევნო სასწავლო წლიდან მეტად აქტიურად გამოიყენოს შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას მეტწილად გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის დასასრულს. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. შეფასების რუბრიკები არაერთგვაროვანია, ზოგადად შაბლონურ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგან - "მე და საზოგადოებაში" შექმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას, მისი თეორიული და პრაქტიკული მხარე დასახვეწია, რათა მიუახლოვდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფორმის სტანდარტებს. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გვაძლევს იმის დადგენის საშუალებს, რომ სკოლა იცნობს შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომშიც იმუშაოს ამ მიმართულებით. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე აქტივობების ბოლოს პერმანენტულად იყენებენ როგორც ვერბალური, ასევე წერილობითი კომუნიკაციის ფორმებს მოსწავლეების მიმართ განმავითარებელი შეფასების მიზნით . სემესტრის ბოლოს მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი კომენტარით. განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ფაქტორებზე მსჯელობა. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგაკვეთილო პროცესს. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესი და ეტაპები. სწორედ, აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს წინარე გამოცდილების რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მნიშვნელოვანია swot ანალიზი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელდა. გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები .სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია პროცესი, რომ კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეების მზაობას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარებას. ამას პედაგოგებთან პირადი გასაუბრებისას რამდენჯერმე, საგანგებოდ გაესვა ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება არ აქვს, პირისპირ შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტულ დავალებების იდეები, მოსწავლე ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე .სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე , თანამშრომლობით სწავლაზე, მოსწავლის ინიციატივების წახალისებაზე . პედაგოგებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეების მაღალი ავტონომიურობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს აძლევენ სასწავლო თემების შერჩევის შესაძლებლობას, რამდენადაც უცხოურ ენებში არ არის სავალდებულო თემები. სასურველია უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მეტად იქნეს გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე შეიძენს ცოდნას ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების.ინტერვიუს დროს საზ.მეცნიერებების პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ისინი აქტიურად ანხორციელებენ კომპლექსურ დავალებებს, თუმცა მისი შედეგებისა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის შესახებ მკაფიო წარმოდგენა მაინც ვერ შეგვიქმნა. დოკუმენტებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები, ასევე კომპლექსური დავალებების შინაარსობრივი მახასიათებლები ისეა აგებული, რომ წინარე გამოცდილება კარგ საშუალებას იძლევა მოსწავლეთა აქტიური შემოქმედებითი პროცესის ორგანიზებისა და ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა არ იყო ახალი სკოლის მოდელში ჩართული.შესაბამისად, კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით მცირე გამოცდილება აქვთ და საჭიროებენ დახმარებას. შემუშავებული კურიკულუმი გაწერილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ის მიხედვით, გაწერილი კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. პედაგოგების საუბრიდან და გაზიარებული პრაქტიკიდან ჩან, რომ საგაკვეთილო პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით აგებინებენ მოსწავლეებს ახალ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ითვალისწინებს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ინტერვიუში პედაგოგებმა ისაუბრეს , თუ რას აკეთებენ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ახალი ცოდნის აგება შეძლონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მეტწილად გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. დოკუმენტიდან გამოიკვეთა და მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დაასახელა რამდენიმე მაგალითი როგორ იყენებდა სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება. მასწავლებლის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით .პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ცხადი გახდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლების მიერ შერჩეული დავალებების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას, შინაგანი ძალების გააქტიურებას. საფეხურზე აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვე საკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარაციული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე . კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, მასწავლებლების დახმარებით, მოსწავლეები ასრულებენ კომპლექსური დავალების ფარგლებში კონკრეტულ აქტივობებს , მაგრამ მოსწავლეების უმეტეს ნაწილს უჭირს საბოლოო პროდუქტის შექმნა. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, მომდევნო სასწავლო წლიდან იმუშაონ კომპლექსური ბუნების დავალებებზე. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით სწავლებისას მნიშვნელოვანია გააქტიურდეს როგორც დეკლარაციული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც.კურიკულუმი ეფუძნება მე-3 თაობის ესგ-ს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაა.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსად მითითებულია კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლეებმა შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ცდილობდნენ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელებას, თუმცა სრულყოფილი სახით ვერ განხორციელეს. სკოლას აქვს მზაობა , მომდევნო წლისთვის სრულყოფილად შეავსონ კურიკულუმის ყველა კლასის ჩარჩოები რისი საშუალებითაც ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. ასევე, თვითშეფასების ფორმაში სკოლას მითითებული აქვს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულ ენასა და ხელოვნებაში, რამაც ხელს შეუწყო ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას. უცხოური ენების კათედრა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ის უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს .იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები , იკითხება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება.სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის უცხოური ენების კურიკულუმებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილ იქნება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირება.

პედაგოგებთან გასაუბრებით და სასკოლო კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ -სწავლების პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური დავალებებით სწავლა/ სწავლებაზე, კომპლექსური დავალებების პირობის გაგება გაანალიზებაზე, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაზე , რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ასევე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებასა და ორგანიზებაში, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან დასტურდება. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მათემატიკის სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა, მომდევნო სასწავლო წელს კომპლექსურ დავალებებში გაწერილი ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. დაწყებითების საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. ისეა გაწერილი ორივე დოკუმენტი, რომ ადგილზეა ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები. რაც შეეხება "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, დოკუმენტში გაწერილი არ გახლავთ ყველა სასწავლო თემა, შესაბამისად დოკუმენტი დასრულებას საჭიროებს. რა ნაწილიც წარმოდგენილია დოკუმენტში, მასში ასახულია ყველა კომპონენტი და ასევე გაწერილია ყველა სამიზნე ცნების ათვისებისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ პიროვნების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, კათედრის წარმოდგენილ მატრიცებში ჩაშენებული მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებს ჰქონდათ მცდელობა შეესრულებინათ კომპლექსური დავალებები ზღაპრის გმირებზე , რომლის ფარგლებშიც შექმნიდნენ პროდუქტს. მოსწავლეებს ჯგუფური თუ წყვილებში მუშაობის დროს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა , უვითარდებათ კომუნიკაციის უნარ -ჩვევები. სტანდარტით გათვალისწინებული სარეკომენდაციო თემები, რომელთა უმეტესი ნაწილი მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედურ მიზნებში __კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც, თავის მხრივ , ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას . კათედრას გაცნობიერებული აქვს და ითვალისწინებს, რომ შემოთავაზებული საგნობრივი კონტექსტი უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშობას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სექტემბერში მზად ექნებათ. წარმოადგინეს აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, რაც კათედრის პოტენციალსა და მზაობაზე მეტყველებს. კათედრა იყენებს სამინისტროს შეთავაზებულ მატრიცებში ჩაშენებულ შეფასების რუბრიკებს. უცხოური ენების კათედრას გააზრებული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე . კათედრას დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს ყოველი კომპლექსური დავალებისათვის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში. დაწყებით საფეხურზე, ძირითადად, იყენებენ მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას ზეპირი სახით . ამ ეტაპზე წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ . როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. კათედრა გეგმავს სოლო ტაქსონომიის აქტიურ გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს თითოელ სამიზნე ცნებასთან მიმართებით , სადაა მოსწავლე, რამდენად ახერხებს შეძენილი ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცემს განმავითარებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაციებს. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისათვის შეირჩა პირველი ინტრუმენტი, დიაგნოსტირება განხორციელდება ორჯერ 2023-2024 სასწავლო წელს. პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, ამ ეტაპზე შექმნილი აქვთ რამდენიმე შეფასების რუბრიკა, ინტერვიუში აღნისნეს, რომ სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი - „შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე“ -დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ძირითადად გვხვდება ისეთი ტიპის შეფასების ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა, მაგალითად, გაკვეთილზე ჩართულობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციის. სასურველია, რომ წარმოდგენილი იყოს შეფასების რუბრიკები კონკრეტულ კონტექსტ-მაგალითზე დაყრდნობით, თუმცა , როგორც გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ახალი სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები მათ მიერ შერჩეულ კონკრეტულ კონტექსტ-მაგალითებზე. ერთი თემის ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გვიქმნის წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს მზაობა, მათ მიერ განხორციელებული შეფასებები იყოს ვალიდური და სანდო, ინტერვიუდან კი იკვეთება, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გამოსაყენებელ რუბრიკებს, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით.

დაწყებით საფეხურზე შეიქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემის მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური, რის უზრუნველყოფასაც სკოლა გეგმავს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში, რომლებიც ისწავლება დაწყებით საფეხურზე, არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნის გაკეთება. ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიოობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 23.10.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის

სკოლის მიერ წარმოდგენილ დანართში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ, გაწერილია, რომ შემოწმდება სწავლების შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა, მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას მნიშვნელოვან პუნქტად აქვს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც მიიღწევა მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზით. ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნას. სკოლას წარმოდგენილი არ აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება შეფასების მონიტორინგი. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტს.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს 23.10.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე, მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატარებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. როგორც გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების სათანადო მტკიცებულებები აღრიცხოს და სამი წლის ვადით შეინახოს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
- შეფასების რუბრიკებით.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ერთი პუნქტი, სწორედ, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაა. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“. დოკუმენტში იკითხება , რომ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში როგორც პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა, ასევე გაამარტივოს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესი, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის მიერ მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. სასწავლო პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.კათედრის ორივე წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო” - დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმაში, მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი. დაწყებით საფეხურზე შექმნილი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; შერჩეული თემები, საკითხები , კომპლექსური ტიპის დავალებები, რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს , შესაძლებლობებს, აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ცხოვრებისეულ კონტექსტს. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განვითარებაში, ასევე , ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე, საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

გასაუბრების დროს აღინიშნა , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ , სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით სამომავლოდ გეგმავენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემოთავაზებული ოქმები, სადაც პედაგოგთა გაერთიანებული კოლექტივი განიხილავს სკოლის ფარგლებში გადასაწყვეტ სხვადასხვა პრობლემას. ამ საკითხზე მკაფიო წარმოდგენას ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაცია” -**დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემო. სკოლაში მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფიელბულია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი ., კათედრის წევრებს შორის ხორციელდება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ შეხვედრები , სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტები , რომლის მიზანია გაირკვეს ,თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან . უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას.კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად.2. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება. რომლის მიხედვით მოხდება პროცესის შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი - "მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად" -დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ, სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ორივე დოკუმენტი გულისხმობს, სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევის აუცილებლობას და შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები გადადგმას.
მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -"მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას" -**დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი) იკვეთება, რომ არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა განსაზღვრავდეს პრობლემის გადაჭრის გზას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელთაც ევალებათ მასწავლებელთა შიდა შეფასება.

სემეტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის , საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება) და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, სადაც იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას” -**დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმებით;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების მეთოდოლოგიით;
- ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას, ასევე მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ითვალისწინებენ მოსწავლეების სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობას . რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვევა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მათი დასკვნის სისწორეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -"შეფასება შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით" - დაკმაყოფილებულია.**
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
შესწავლილი დოკუმენტაციით (თვითშეფასების ფორმა) დასტურდება, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, სკოლა მონაწილეა პროექტის „ შეფასება განვითრებისთვის". ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. მასწავლებლები ცდილობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს . შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. გასაუბრებისას გაირკვა, რომ კურიკულუმის შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მასწავლებლის თვითშეფასებას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მოსწავლეთა გამოკითხვას. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -"შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები" -დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გარემო არის მულტიკულტურული. პედაგოგებს აქვთ გარკვეულწილად გამოცდილება დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომისა სასწავლო პროცესში. შექმნილი აქვთ სსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლა გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს შეფასების დროს. შეფასების რუბრიკები ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -" შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით." -დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია
1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა აღწერილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (პედაგოგიური სხდომის ოქმი #4, თვითშეფასების ფორმა,) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენების პრაქტიკა და swot ანალიზი, რასაც ეფუძნება სასწავლო პროცესების იმგვარი დაგეგმვა, რომ მიღწეული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. დაწყებით საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილიაკუ რიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება
ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს” -**დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ნათლად გაწერილია კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპი, რა დროსაც ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია. სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში , მაგრამ აქვთ სიახლეებისადმი მიმღებლობა და პრაქტიკაში დანერგვის სურვილი. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას.მათემატიკაში, საბაზო საფეხურზე , კურიკულუმის შემუშვების პროცესში , მასწავლებლები ითვალისწინებენ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს , სხვადასხვა საგნის მასწავლებლები იკრიბებიან , აანალიზებენ საკუთარი პრაქტიკის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ორიენტირებას აკეთებენ პრიორიტეტულ სასკოლო კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები . სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულიმის დაგეგმვისას. წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები , მიგნებები , ანალიზის საფუძველი ხდება. რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს და განსაზღვრავენ მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს - სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად. დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია მოვალეობები ეკისრება დირექციას და რა პედაგოგებს. კურიკულუმის რევიზიის ნაწილში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა მოხდეს, სასკოლო საზოგადოებების წევრების ინტერესებისა და შეხედულებების ასევე პრიორიტეტების მიხედვით არსებული კურიკულუმის გარდაქნა და მისი რევიზია. მასში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა შედეგების განსაზღვრა, ასევე მშობელთა ჩართულობა და კათედრებისა და დირექციის როლი და დანიშნულება აღნიშნულ პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცნიერებების შემადგენელი საგნების ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ჩარჩოები. მასში თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ყველა კომპონენტი სწორადაა გაწერილი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ საგნობრივი კათედრის ფარგლებში არსებობს თეორიული და პრაქტიკული მზაობა, კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას და 2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი კურიკულუმები და კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგია ცხადყოფს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრა სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია სტანდარტთან. მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი არაქართულენოვანია, შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას და ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც ენობრივი ბარიერის დასაძლევად მასწავლებლების მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებელი ადგენს მათ ინტერესებს თემასა და კომპლექსური დავალების ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება გამოკითხვა , სადაც აქტიურად არიან ჩართული მშობლები. სკოლას შემუშავებული და მოწოდებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც გვეუბნება, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. კათედრა სასწავლო გეგმის დ დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს.წარმოდგენილი სკოლა მულტიეთნიკურია, (მოსწავლეების ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ეროვნებისაა). სკოლაში ვიზიტის და მასწავლებლებთან იტნერვიუს დროს, სკოლის მხრიდან ხაზი გაესვა, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება ხდება კურიკულუმის შემუშავებისას, აქტიურად ხდება მშობლების და მოსწავლეების ინფორმირება და უკუკავშირის გათვალისწინება.. სკოლა არ ყოფილა ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, თუმცა შემუშავებული კურიკულუის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას კარგად აქვს გაცნობიერებული კურიკულუმის შექმნის, განვითარებისადა მონიტორინგისთვის საჭირო სასკოლო ჩართულობა.ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის პროდუქტია. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი შემუშავების პროცესში ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მახვილდება კონცეპტუალურ ჩარჩოზე,კურიკულუმის დიზაინზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიაზრებს კურიკულუმის სტრუქტურულ ერთეულებს,დანერგვის ინსტრუმენტებს,შუალედურ სასწავლო მიზნებს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენეტების შეთანხმება/ვერიფიკაციას, სასკოლო საზოგადეობის წევრების ფუნქციებისა და მონაწილეობის ფორმების განსაზღვრას კურიკულუმის განვითარების პროცესში.კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სკოლის დირექტორი, ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ინტერვიუში ასევე გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.დეტალურადაა აღწერილი კურიკულუმის შემუშავებაში, რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს. აღნიშნული სკოლის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელი პედაგოგეი ითავსებს დირექტორის ფუნქციასაც, შესაბამისად ეს საკითხი უკვე მეტყველებს, საგნობრივი კურიკულუმების შექმნაში დირექციის ჩართულობაზე. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი თანამშრომლობით გარემოში მიმდინარეობს, მასში მონაწილეობს კათედრის ორი წევრი და ასევე გათვალისწინებულია, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ინტერესებიც. ინდიკატორი შეესაბამება სდანტარტს.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და 2.1.1(3) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლის კურიკულუმი არაფორმალური განათლების ფარგლებში მუდმივი გაზიარების ობიექტს წარმოადგენს კურიკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმები შეიქმნება კათედრაზე, დამტკიცდება დირექციის მიერ. ამას ადასტურებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ამავე დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობლები ინფორმირებულნი არიან სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, შესაბამისად, 2.1.1(4) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროც,ესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ახალი სასწავლი წლისთვის საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები და კონტექსტმაგალითები. მერვე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალება და ყველა ველი შევსებული. ცხადია,თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით ყველა კლასის კურიკულუმის სრულყოფილ სახეს მიიღება.უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული.2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში უმეტესწილად ამ ეტაპისთვის განსაზღვრულია ორი კომპლექსური დავალება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით , უცხოური ენის კათედრა გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაზე. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. წარმოდგენილი დავალებების ძირითადი საკითხები ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა , დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესები. პედაგოგთა მიერ შემუშავებული ფიზიკის, ქიმიისა და ბოლოგიის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილები, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სწორად არის შევსებული: სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები დაყოფილია კლასტერებად, რომელთა ნაწილზე მორგებულია კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისობაშია ძირითადი და დამატებითი რესურსები; ინდიკატორი.ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თეორიული შინაარსის თემების საკითხები, სასურველია შეიცვალოს კლასების მიხედვით. ძირითადში კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, მაგრამ დასაზუსტებელია რეალურად რამდენად შეძლებს პედაგოგი კურიკულუმში გაწერილი თემების სრულყოფილად გავლას, როცა სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და შეზღუდულია გარე მოედნის შესაძლებლობები, პედაგოგს მიეცა რჩევა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადახედოს კურიკულუმებში გაწერილი თემების რაოდენობას და შეარჩიოს თემები სკოლის რესურსებიდან გამომდინარე. რის მზაობასაც გამოხატავს ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები კათედრასთან ერთად.
აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კათედრის გამოგზავნილ კომპლექსური დავალებებითა და თემატური მატრიცებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სკოლის მიერ გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და პროექტული სწავლება თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.აბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების , შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება,შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, ეროვნული სასწავლო გეგმითთვალისწინებული თითოეული კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. ასევე გაწერილია სხვა კომპონენტებიც, როგორიცაა ძირითადი კონტექსტ მაგალითი და ასევე კომპლექსური დავალების იდეა. უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საგნობრივი კურიკულუმები დასრულებული სახითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება საგან მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, თითოეულ კლასში შევსებულია ყველა გრაფა და გაწერილია ყველა სასწავლო თემის დამუშავებისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.ღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები“) -**დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

საგნობრივკურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ის მულტიეთნიკურ და შესაბამისად მულტილინგვისტურ მოსწავლეთა კონტიგენტს აერთიანებს, მათ ხშირად უწევთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით- ცვლილებების შეტანა დაგეგმილ აქტივობებში. ამიტომაც მოსწავლეებს ხშირად სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ შემუშავებული ექნებათ მომავალი სასწავლო წლისათვის ინდივიდუალური გეგმები, სადაც საერთო კურიკულუმში წარმოდგენილი თემის ფარგლებში მოხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება.
აგრეთვე მნიშვლელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედომ გეგმა, რაც ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომების განხორციელებას.
სკოლა მულტიეთნიკურია (აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ეროვნების ბავშვებით დაკომპლექტებული), როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს უჭირთ ქართულად. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნებს განსხვავებული მიდგომები და მიგნებები სწავლების დიფერენცირებისას აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს“-**დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ზოგადი რუბრიკები (წყვილში მუშაობის შეფასების რუბრიკა). სკოლას არ წარმოუდგენია ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გეგმავენ სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნულ საკითხზე მუშაობას.სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია N1 მოდელი. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში /გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინაში, რომლებიც საბაზო საფეხურზეა წარმოდგენილი. წარმოადგინეს ზოგადი რუბრიკები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული მხარე დასახვეწია, რათა მიუახლოვდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფორმის სტანდარტებს. ამ ინდიკატორზე მსჯელობისას ასევე ვეყრდნობი პირადი გასაუბრებისას პედაგოგთა უკუკავშირს. მათი განცხადებით, მოსწავლეთა შეფასებისას, იქნება ეს განმსაზღვრელი, თუ განმავითარებელი შეფასების მოდელი, ისინი ეყრდნობიან საგნობრივ სტანდარტებში გაწერილ შეფასების ინდიკატორებს.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს“-**დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლაში კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ საგაკვეთილო პროცესს. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები. სწორედ, აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს წინარე გამოცდილების რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვას. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები ზეპირი ფორმით, მომავალში სკოლა გეგმავს წერილობით ანალიზის ფორმის შემუშავებას. რითაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ხელმისაწვდომობას ანალიზის შედეგებზე.სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია პროცესი, რომ კურიკულუმის შექმნისას, ითვალისწინებენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების მზაობას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარებას. აგრეთვე ინტერვიუსდროს ისაუბრეს ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა, რომ სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას,აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“ - **დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალება მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და მიუხედავად ამისა, აქვს მზაობა დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროსა აღნიშნეს, რომ მე-9 კლასში განახორციელეს პროექტი „ბესიკ ხარანაულის პოეზია“. პედაგოგიური სხდომის #4 ოქმში ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემის განსაზღვრა, რაც ასევე დასტურია იმისა, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე პროექტული სწავლებით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტულ დავალებების იდეები , მაგ , მეგობრული წერილი თემაზე ,, ჩემი იდეალური სამეზობლო ‘მ მოსწავლე ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე , თანამშრომლობით სწავლაზე,სკოლის წინარე გამოცდილების და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა არ იყო ე.წ. ,,ჩართული სკოლა’’ და არ აქვს ცოდნა და გამოცდილება კომპლექსური დავალებებით სწავლების, ამასთან სკოლა მულტიეთნიკურია და ჰყავს სსმ მოსწავლეები, შემუშავებული კურიკულუმოს ჩარჩოში გაწერილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ის მიხედვით, შესაბამისად, გაწერილი კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვისშესაძლებლობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნა ეფუძნება წინარე ცოდნას. გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. პედაგოგების საუბრიდან და გაზიარებული პრაქტიკიდან ჩან, რომ საგაკვეთილო პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით აგებინებენ მოსწავლეებს ახალ ცოდნას. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში , შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ითვალისწინებს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ინტერვიუში ისაუბრეს პედაგოგებმა , თუ რას აკეთებენ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ახალი ცოდნის აგება შეძლონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, თუმცა , სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება, თუ რით გამოკვეთეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა , რის საფუძველზე განხორციელდა კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვა.პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით“ - **დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მაწავლებლების მიერ შერჩეული დავალებების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას. სასწავლო პროცესში მაწავლებლების მიერ შერჩეული დავალებების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოდ მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაცია.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც.კურიკულუმის ჩარჩოს, საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია არსებული კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. და ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესს გეგმავენ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება,რადგანაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. ასევე, თვითშეფასების ფორმაში სკოლას მითითებული აქვს ჩტარებული ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულ ენასა და ხელოვნებაში, რაც ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს, მაგალითად მე- 7 კლასის, მე-9 კლასის საგნობრივ კურიკულუმში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებმა შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ცდილობენ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელებას, თუმცა სრულყოფილი სახით ვერ განხორციელდა. მასწავლებლებს აქვთ მზაობა , მომდევნო წლისთვის განახორციელონ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები.გასაუბრებით და სასკოლო კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, სწავლების პროცესი დაფუძნებულია - კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებაზე, კომპლექსური დავალებების პირობის სრულყოფას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას , რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ასევე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებასა და ორგანიზებაში, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები და ასევე დანართები, სადაც სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიან მიზანზე.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები , კონტექსტ-მაგალითები, შედარების მაგალითები, ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმოამდგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან გეოგრაფიის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. ისეა გაწერილი ორივე დოკუმენტი, რომ ადგილზეა ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები. რაც შეეხება საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშებს საგან ისტორიასა და მოქალაქეობის ფარგლებში, დოკუმენტის ყველა გრაფა გაწერილია და წარმოდგენილია მასში ყველა კომპონენტი, ისე, რომ დაცულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლები ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, .კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტი და ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.
კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ პიროვნების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად , დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ასევე, კათედრის წარმოდგენილ მატრიცებში ჩაშენებული მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. . სტანდარტით გათვალისწინებული სარეკომენდაციო თემები, რომელთა უმეტესი ნაწილი მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედურ მიზნებში ___კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც, თავის მხრივ , ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარებას . აგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მრავაფლფეროვანი ინსტრუმენტები არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშობას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე და სექტებრისთვის მზად ექნებათ. წარმოადგინეს აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, რაც კათედრის პოტენციალსა და მზაობაზე მეტყველებს. საბაზო საფეხურზე, სკოლაში, ძირითადად, იყენებენ მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას ზეპირი სახით . ამ ეტაპზე წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ . როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისათვის შეირჩა პირველი ინტრუმენტი.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი - „შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე“ **-დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების სისტემის მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური, რის უზრუნველყოფასაც სკოლა გეგმავს ერთი თემის ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გვიქმნის წარმოდგენას, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა, მათ მიერ განხორციელებული შეფასებები იყოს ვალიდური და სანდო, ინტერვიუდან კი იკვეთება, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით დაწინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის

სკოლის წარმოდეგენილი დანართში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ, გაწერილია, რომ შემოწმდება სწავლების შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა, მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას მნიშვნელოვან პუნქტად აქვს სწალა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც მიიღწევა მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზით. ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შეფასება და ანალიზი. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა,სკოლაში არის მზაობა დაინერგოს <u>შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგნისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით აღნიშნულ ხარვეზს აღმოფხვრის 23.10.23 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი,**</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე, მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატარებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის ვადით. როგორც გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების სათანადო მტკიცებულებები აღრიცხოს და სამი წლის ვადით შეინახოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
- შეფასების რუბრიკებით.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში ერთი პუნქტი, სწორედ, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაა. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“.დოკუმენტში იკითხება , რომ სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში როგორც პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა, ასევე გაამარტივოს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესი, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის მიერ მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. სასწავლო პროცესში მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.კათედრის ორივე წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი -"სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო" - დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

საბაზაო საფეხურზე შექმნილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლებმა ინტერვიუთიც დაადასტურეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდვალურ საჭიროებებს, ინტერესებს და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს. საბაზო საფეხურზე განახარციელეს სასწავლო პროექტი, რამაც მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურ შემოქმედებით ჩრთულობასა და პიროვნულ განვითარებას შეუწყო ხელი.

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმაში, მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები . მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განვითარებაში, ასევე , ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე, საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.გასაუბრების დროს აღინიშნა , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება.სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. შექმნილია მასწავლებელთა შეხვედრის ჯგუფი. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლის წარმოამდგენელთა განცხადებით სამომავლოდ გეგმავენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემოთავაზებული ოქმები, სადაც პედაგოგთა გაერთიანებული კოლექტივი განიხილავს სკოლის ფარგლებში გადასაწყვეტ სხვადასხვა პრობლემას. ამ საკითხზე მკაფიო წარმოედგენას ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტარტეგიული განვითარების გეგმა ცხადყოფს, რომ ზრუნავენ სკოლაში ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ ატმოსფეროზე. მარდაჭერილი და წახალისებული იქნება პროექტების განხორციელება, კლუბის შექმნა. სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემო. სკოლაში მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებლები იყენებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა ხერხებს. სასწავლო პროცესი არის არა მოსაწყენი და რუტინული სამუშაო, არამედ ცოცხალი, ხალისიანი, საინტერესო და ახალი ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ” -დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვთარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

სკოლაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი ., კათედრის წევრებს შორის ხორციელდება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ შეხვედრები , სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სკოლაში ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტები , რომლის მიზანია გაირკვეს ,თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. აღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. თუმცა პედაგოგებთან პირადი ინტერვიუს წარმოებისას, არაერთი ხაზგასმა იყო აღნიშნულ საკითხზე, თუ როგორ მოხდება მომავალში კურიკულუმის მონიტორინგი. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიქრობენ ამ საკითხზე და დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოების გზით განახორციელებენ კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობების შედეგიანობის მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ, სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ორივე დოკუმენტი გულისხმობს, სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევის აუცილებლობას და შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები გადადგმას.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი) იკვეთება, რომ არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა განსაზღვრავდეს პრობლემის გადაჭრის გზას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელთაც ევალებათ მასწავლებელთა შიდა შეფასება.

სემეტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის , საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება) და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, სადაც იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას” **-დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმებით;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების მეთოდოლოგიით;
- ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

როგორც თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა გაიარეს ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი ტრენინგები და კვალიფიკაცია აიმაღლეს ამ კუთხით. ასევე აქვთ სოლოტაქსონომიის გამოყენების ერთჯერადი გამოცდილება, რის უფრო მეტი ინტენსოვობით გამოყენებასაც გეგმავენ. გადმოგზავნილია წყვილებში მუშობის შეფასების რუბრიკა და ადაპტირებული შეფასების რუბრიკა სსმ მოსწავლის შეფასებისთვის. ამავდროულად, პედაგოგიური სხდომის ოქმში წერია, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში გაგრძელდა პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“ და ჩატარდა სადიაგნოსტიკო ტესტირება ყველა კლასში შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა,მათემატიკა,ინგლისური ენა და ხელოვნება. ყოველივე ეს,შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები.

სკოლის მიერ განხორციელული სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას, ასევე მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -"შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს" **-დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით
შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ითვალისწინებენ მოსწავლეების სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობას . რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვევა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მათი დასკვნის სისწორეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შესწავლილი დოკუმენტაციით (თვითშეფასების ფორმა) დასტურდება, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, სკოლა მონაწილეა პროექტის „ შეფასება განვითრებისთვის". ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. მასწავლებლები ცდილობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. გასაუბრებისას გაირკვა, რომ კურიკულუმის შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მასწავლებლის თვითშეფასებას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მოსწავლეთა გამოკითხვას. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -"შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები" -**დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გარემო არის მულტიკულტურული. პედაგოგებს აქვთ გარკვეულწილად გამოცდილება დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომისა სასწავლო პროცესში. შექმნილი აქვთ სსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლა გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს შეფასების დროს. შეფასების რუბრიკები ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება (სადიაგნოსტიკო შეფასება ყველა კლასში , სპეციალური მასწავლებლის ანგარიში პედაგოგიურ სხდომაზე) სწავლების ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგებზე დაკვრვებისა და მონიტორინგზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეიტანენ ცვლილებებს.კათედრებზე მიმდინარეობს ურთიერთდასწრებები. სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ კურიკულუმის ანალიზს. განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს. სკოლას აქვს მზაობა და აპირებენ შექმნან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები,პასუხისმგბლობების დელეგირება, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები.კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა აღწერილი წარმოდგენილ დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (პედაგოგიური სხდომის ოქმი #4, თვითშეფასების ფორმა,) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენების პრაქტიკა და SWOT ანალიზი, რასაც ეფუძნება სასწავლო პროცესების იმგვარი დაგეგმვა, რომ მიღწეული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. დაწყებით საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილიაკუ რიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება
ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი -“ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს” **-დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

23/10/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: